41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო თერჯოლელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი თერჯოლის მერობის კანდიდატისა და თერჯოლის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს თერჯოლის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს თერჯოლა და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

ეკონომიკა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ადგილობრივი ბიუჯეტი

გასული წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ თერჯოლის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.

იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – თუ 2013 წლის მონაცემებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 11,9 მილიონ ლარს შეადგენდა, 2021 წლის გეგმით – 21,6 მლნ ლარია. ამასთან, იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილი – 2013 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა გადასახადების ნაწილში შემოსავლების სახით 6,7 მილიონი ლარი მიიღო, 2021 წლის გეგმის მიხედვით, გადასახადებში შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი უკვე 13,9 მლნ ლარს შეადგენს.

- ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებას.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მლნ-დან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 1 პროექტი** (1 168 971 ლარი, თანამონაწილეობა 467 588 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 33 ჰექტარზე განხორციელდა 25 პროექტი (ჯამურად 459 047 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, დაზღვეულია ჯამურად, 254 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 723 580 ლარი), რითაც 628-მა ბენეფიციარმა ისარგებლა, ფერმერებსთვის სტიქიით მიყენებული ზარალი აუნაზღაურდათ 2 496 ლარით. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეს მოქმედებს 5 კოოპერატივი (57 მეპაიე, კაპიტალი 259 500 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით,** 2013-2021 წლებში, 74-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და ჯამურად 9 910 875 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 1 543 810 ლარი). **მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით,** განხორციელდა 2 პროექტი (ჯამურად 15 800 ლარი, თანადაფინანსება 6 320 ლარი). 2020 წლიდან ამოქმედდა **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამა** (2 პროექტი ჯამურად 111 591 ლარი, თანადაფინანსება 71 737 ლარი) და **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** (6 პროექტი 357 004 ლარი, თანადაფინანსება 178 502 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, დაიხარჯა 3 952 454 ლარი. წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, 0-დან (2013 წელს) 1060 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა.

2013 წლიდან დღემდე ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფოს მხარდაჭერით ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება** ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 3 290 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 14 190 ჰექტრი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მლნ ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**
- **2024 წლისთვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილია სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ფართობის 2 075 ჰექტრამდე ზრდა.**

მეწარმეობის განვითარება

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** თერჯოლის მუნიციპალიტეტში, დაფინანსდა 3 საწარმო (ჯამურად 2 189 258 ლარი, დასაქმებულია 42 ადამიანი). ამავე **პროგრამის სასტუმროს კომპონენტში,** ხელი შეეწყო 1 სასტუმროს მშენებლობას (ჯამურად 600 000 ლარი, დასაქმდა 10 ადამიანი, მუნიციპალიტეტს 10 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა).

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით, „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 333 684 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 411 167 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 46 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 21, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 25 პროექტი).

- **გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა;**

ენერგეტიკა

ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

„ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის დადგმული სიმძლავრე გაორმაგდება და 10,166 მგვტ-ს მიაღწევს. შიდა რესურსებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი სამჯერ გაიზრდება და 34 მილიარდ კილოვატ/საათს გაუთანაბრდება.

იმერეთის რეგიონში, მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 4 ჰიდროელექტროსადგური:

- **ნამახვან ჰესების** კასკადი – დადგმ. სიმძლავრე 433 მგვტ, 800 000 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 1** – დადგმ. სიმძლავრე 1,72 მგვტ, 2 200 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 2** – დადგმ. სიმძლავრე 1,05 მგვტ, 1 450 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 3** – დადგმ. სიმძლავრე 1,99 მგვტ, 3 010 000 აშშ დოლარი.

იმერეთის რეგიონში, **6 ლოკაციაზე მიმდინარეობს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა,** შემდგომში **ქარის ელექტროსადგურების** ასაშენებლად. აღნიშნული ქარის ელსადგურების ჯამური სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 635 მგვტ-ს აღწევს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 2 061 აბონენტი. 2013-2017 წლებში, **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი** 4100-ზე მეტ აბონენტს დაუმონტაჟდა, რითაც თერჯოლაში მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ტურიზმი

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეუ-

ლი. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განსავითარებლად, 2014 წელს, თერჯოლაში, ჩატარდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. მუნიციპალიტეტში შეიქმნა ტურიზმის განვითარების სამსახური; დამზადდა თერჯოლის ტურისტული რუკა; დამონტაჟდა საინფორმაციო დაფები; განხორციელდა პროექტი „უცნობი საქართველო იმერეთში“; დაიგეგმა და განხორციელდა ნავენახევის მღვიმის რეაბილიტაცია (ჯამურად 1 მლნ ლარი); ტურისტული პოტენციალის წარმოსაჩენად, გადაღებულია თერჯოლა-ტყიბულის ტურისტული კლიპი; მოეწყო ბილიკები მეკლდეურებისათვის. პროექტით „ღვინის გზა“ განხორციელდა ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი.

თერჯოლის ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად ასათვისებლად იგეგმება შემდეგი ღონისძიებები: ტურისტებისთვის საინფორმაციო ცენტრის გახსნა; სოფ. საზანოში მდინარე ძუსაზე მდებარე ჩანჩქერის და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა; საცხენოსნო და საფეხმავლო ბილიკების მოწყობა.

2018 წელს განხორციელდა ნავენახევის მღვიმის ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომლის ღირებულებამ 967 735 ლარი შეადგინა.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა და გარემოს დაცვა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით ადგილობრივ მოსახლეობაზე გაცემულია **მერქნული რესურსი.**

რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება,** მათ მიერ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შესწავლის, ასევე გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს** და ავრცელებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. ყოველწლიურად მიმდინარეობს სტიქიური **გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი.**

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, თერჯოლაში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 21,3 მლნ ლარამდე დაიხარჯა. აშენდა 5 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფო 3,7 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წლებში, მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა,შედეგად, თერჯოლის 25 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 5 307 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

2014-2020 წლებში, თერჯოლაში, **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 16 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. **ხელისუფლების გეგმით,** 2021-2023 წლებში, მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, 10 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება, რითაც დამატებით 3 000-მდე ოჯახი ისარგებლებს. კერძოდ, **თერჯოლაში დაგეგმილია ან უკვე მიმდინარეობს წყალმომარაგების შემდეგი პროექტები:**

- **სოფელი გოდოგანის, წყალწითელასა და მიმდებარე ცენტრალური უბნის, წყალმომარაგების პროექტირება/მშენებლობა – 2 028 083 ლ;**
- **სოფლების რუფოთისა და ტელეფას წყალმომარაგების სისტემის პროექტირება/მშენებლობა – 8 498 498 ლ.**

2021-2022 წლებისთვის, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფ. ქვედა სიმონეთი, საავტომობილო გზის რეაბილიტაცია – 1 364 395.63 ლ;
- სოფ. ალისუბანი-სკანდის გზის რეაბილიტაცია – 531 790.00 ლ;
- ქ. თერჯოლა, გოფანდის ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 709 999.87 ლ;
- სოფ. რუფოთი-ჩხარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია – 639 438.00 ლ;
- სოფ. ზედა სიმონეთი, წყლის სისტემის რეაბილიტაცია – 1 379 900.00 ლ;
- ნახშირღელე-ხუჯაძეების დამაკავშირებელი გზა – 735 000.00 ლ;
- სიქთარვა-ჩხარი-ეწრის დამაკავშირებელი გზა – 1 104 979.79 ლ;
- სოფ. თუზი, წმ. სამების ეკლესიამდე მიმავალი გზის რეაბილიტაცია – 647 000 ლ;
- ღვანკითი-ავტობანის ს/გზის რეაბილიტაცია – 526 316 ლ;
- სოფ. ზედა საზანო, საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები – 461 965 ლ;
- კვახჭირი, ცენტრალური ს/გზის რეაბილიტაცია – 736 843 ლ;
- სოფ. გოგნი, ტყიბულთან დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია – 515 001 ლ.
- **აქტიურ ფაზაშია რიკოთის უღელტეხილზე საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალის მშენებლობის პროექტი. კერძოდ, ამ ეტაპზე მშენებლობა ერთდროულად მიმდინარეობს ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის, ჩუმათელეთი-ხევის, ხევი-უბისას, უბისა-შორაპნის და შორაპანი-არგვეთას მონაკვეთებზე. აღნიშნული პროექტების ჯამური საინვესტიციო მოცულობა 2,8 მილიარდ ლარს აღემატება. სახელმწიფოს გეგმის თანახმად, 2023 წლამდე სხვადასხვა მონაკვეთების დასრულება ეტაპობრივად იგეგმება.**

ლაშა გოგიაშვილი: „თერჯოლის პოტენციალი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ!“

როცა ვკითხე ხელოვნების სფეროში მოღვაწეობის შემდეგ, პოლიტიკა რამდენად კომფორტული აღმოჩნდა-მეთქი, მიპასუხა: „კომფორტის რა მოგახსენოთ. პოლიტიკური თანამდებობა უბრალოდ არის საშუალება, ხალხს ბევრი სიკეთე გაუკეთო“.

მშობლიური თერჯოლისა და თერჯოლელებისთვის „ბევრი სიკეთის“ გაკეთების შანსი მას შემდეგ მიეცა, რაც თერჯოლის მერი გახდა. მის ჯერ დანიშვნას, შემდეგ კი არჩევას, საკმაოდ რთული – კოვიდპანდემიური პერიოდი დაემთხვა. მიუხედავად ამისა, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება შეძლო.

გეგმა კიდევ უფრო მეტი აქვს. „ქართული ოცნების“ გუნდთან ერთად თერჯოლის პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას და მუნიციპალიტეტის მეტად განვითარებას აპირებს.

თერჯოლაში დაბადებულ-გაზრდილი მერობის კანდიდატის, ლაშა გოგიაშვილის მთავარი დაპირება კი უცვლელია – მერსა და მოსახლეობას შორის, არც მომდევნო 4 წლის განმავლობაში იარსებებს არანაირი ბარიერი და ყველა პროექტს, თერჯოლელებთან ერთად, მათი სურვილების გათვალისწინებით განახორციელებს.

დაიბადა 1979 წლის 3 ნოემბერს. 2004-2009 წლებში სწავლობდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში.

2002-2010 წლებში მუშაობდა სხვადასხვა კერძო ორგანიზაციაში, ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 2012-2017 წლებში იყო სსიპ „საქართველოს ფოლკლორის ცენტრის“ სამეურნეო დარგის მთავარი მენეჯერი. 2017 წლიდან 2020 წლის 31 მარტამდე იკავებდა ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ დირექტორის მოადგილის თანამდებობას.

2020 წლის აპრილიდან არის თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, მერის მოვალეობის შემსრულებელი.

2020 წლის ნოემბრიდან არის თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

– ბატონო ლაშა, თქვენი შეფასებით, გუნდმა ნდობა ისევ თქვენ რატომ გამოგიცხადათ?

– საკუთარ თავზე საუბარი, ძალიან რთულია... გადაწყვეტილების მიღებისას, ალბათ ბევრი ფაქტორი გაითვალისწინეს – ჩემი ოჯახი, წარსული და გაკეთებული საქმეები. ამაყი ვარ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ისევ ჩემზე გააკეთა არჩევანი და მომცა საშუალება, ვიყო თერჯოლის არჩეული მერი.

– თერჯოლის მერის მოვალეობას 2020 წლის არჩევნების შემდეგ ასრულებთ. ამ მცირე დროში რა შეიცვალა მუნიციპალიტეტში სასიკეთოდ?

– მოგეხსენებათ, საარჩევნო პერიოდია, ფეხდაფეხ დავდივართ ყველა სოფელში, ყველა უბანში და შეიძლება ითქვას, რომ ასეთი წინსვლა ჩვენს მუნიციპალიტეტში არ ყოფილა. თერჯოლის ყველა სოფელი გაზიფიცირებულია. ცენტრალური გზები უკვე ყველა სოფელში გაკეთებულია. საგზაო სამუშაოები მხოლოდ ღვანკითსა და რუფოთში არ მიმდინარეობდა. ღვანკითში უკვე დავიწყეთ, რუფოთშიც მალე დაიწყება. წყალთან დაკავშირებით კი, ძალიან დიდი პრობლემა იყო სოფელ რუფოთში და ახალ თერჯოლაში, სადაც ხალხი ცისტერნებით ყიდულობდა წყალს. რუფოთში უკვე დაწყებულია წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა, ახალ თერჯოლაში კი, უახლოეს მომავალში დაიწყება. ძალიან მნიშვნელოვანია ახალი, „სახლთა დაზიანების პროგრამა“, რომლის ფარგლებში, უსახლკარო ოჯახებს სახლებს ვუშენებთ. წარმოიდგინეთ, 5 ისეთ ოჯახს ექნება საკუთარი ჭერი, რომლებიც აქამდე ღია ცის ქვეშ ათევდნენ ღამეს. გარდა ამისა, მიმდინარეობს კორპუსების სრული რეაბილიტაცია. არაერთი სოციალური პროგრამა განვახორციელეთ. ამ მოკლე პერიოდში, 2 ახალი სკვერი გაკეთდა, შენდება იუსტიციის სახლი... გეგმა ძალიან ბევრი გვაქვს. სხვათაშორის, 2020 წლის არჩევნებამდეც მომიწია რამდენიმე თვით მერის მოვალეობის შესრულება. მაშინ ჩემი დანიშვნა, პანდემიის დაწყებას დაემთხვა. ძალიან მალე სოფელი ღვანკითი ჩაიკეტა. ურთულესი იყო ახალ ამპლუაში, იმ სტრესულ პირობებში მუშაობა. მერიის მანქანებით გადავადგილდებოდით და ვცდილობდით, ადამიანებისთვის პრობლემები მოგვეგვარებინა. ისეთ გამოძახებაზეც კი გავსულვართ, რომ ღვანკითში, მოქალაქისთვის მიგვეტანა, მაგალითად, ბავშვის პამპერსი. იყო უმძიმესი მომენტებიც. მაგალითად, ერთმა დარეკა, ბავშვი ჰყავდა ცუდად და სოფლიდან ვერ გამოდიოდა. წარმოუდგენელი ტკივილია, როცა შვილს რაღაც უჭირს და ვერაფერს აკეთებ. მაშინვე მივიყვანეთ საზღვართან ექიმი, რომელმაც ბავშვს სამედიცინო დახმარება გაუწია. ერთმა მამაკაცმა დარეკა, ორსულ ცოლს კონსულტაციაზე უწევს მისვლა – ნაყოფს დაუნის სინდრომზე კვლევა ესაჭიროებოდა. ასეთი საკითხების მოგვარებაც გვიწევდა და მიხარია, რომ ის პერიოდი ღირსეულად და წარმატებით გადავლახეთ. ამ ერთი წლის განმავლობაშიც ხალხს მაქსიმალურად ვედექით გვერდით და ვეხმარებოდით.

– ანუ, შეასრულეთ თქვენი მთავარი საარჩევნო დაპირება, რომ თერჯოლელებსა და მერს შორის არანაირი ბარიერი არ იქნებოდა?

– ნამდვილად! ვერავინ იტყვის, რომ ჩემთან დარეკვა, მოწერა ან შეხვედრა და გასაუბრება ვერ მოახერხა. კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით მქონდა ჩემს თერჯოლელებთან კონტაქტი და სხვათაშორის, მერობის პერიოდში ყველაზე დიდ მიღწევად სწორედ ამას მივიჩნევ – მოქალაქეებთან თბილ და უშუალო ურთიერთობას. მათ ყოველთვის ვუსმენდით, პრიორიტეტებს მათთან ერთად ვსახავდით და ყველა იმ სიკეთეზე ვაწვდიდით ინფორმაციას, რასაც მოქალაქეებს ხელისუფლება სთავაზობს.

– ამ სიკეთეებში სოფლის მეურნეობის მიმართულებით სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციაც იგულისხმება?

– რა თქმა უნდა და მომავალში, უფრო მეტად ავუხსნი ადამიანებს, რომ სახელმწიფოს ხელშეწყობით არის შესაძლებელი მეურნეობების წამოწყება, მცირე საწარმოების გახსნა. მიხარია, რომ ასე თუ ისე, თერჯოლაში სარგებლობენ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამებით, მაგრამ მეტი აქტიურობა უკეთესი იქნება. სოფლის მეურნეობის განვითარება რეგიონებისთვის და ზოგადად, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში, თერჯოლაში შამპანურის ქარხანა იყო. ამ ტერიტორიაზე მოდის ციცქა-ცოლიკაური, რომელიც გემოვნური თვისებებით შამპანურისთვის ძალიან კარგია. ამ მიმართულებით კარგი ტრადიცია გვაქვს და მიხარია, რომ საწარმოებიც იხსნება. გარდა ამისა, ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით თერჯოლას უდიდესი პოტენციალი აქვს. აქ ბევრი საოცარი ადგილია და თითოეული მათგანი შეიძლება ტურისტებისთვის მიმზიდველი გახდეს. კარგია, რომ რამდენიმე სასტუმრო უკვე გაიხსნა, თუმცა ვფიქრობ, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი ბოლომდე არ არის გამოყენებული და ამ მიმართულებით, აუცილებლად უნდა გადაიდგას ნაბიჯები. პანდემიის დასრულების შემდეგ, ტურიზმთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გეგმები გვექნება.

– თერჯოლის პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება იქნება იმის საფუძველი, რომ ახალგაზრდები მუნიციპალიტეტიდან არ წავიდნენ და ადგილზე დაფუძნდნენ?

– მაქსიმალურად ვცდილობთ, ახალგაზრდებისთვის ხელსაყრელი პირობები შევქმნათ. ბიზნესისა და ტურიზმის ხელშეწყობა, ცხადია, სამუშაო ადგილების შექმნასაც შეუწყობს ხელს და ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტიდან წასვლის სურვილი აღარ ექნებათ. კარგი იქნება, ახალგაზრდები სხვადასხვა პროფესიებს თუ დაეუფლებიან, რადგან პროფესიული სწავლება უმნიშვნელოვანესია. პირობები დღითიდღე უმჯობესდება. ამ ცხოვრებაში ყველაფერი ხომ შედარებითია და დღეს თერჯოლა სულ სხვანაირია, ვიდრე ჩემს ახალგაზრდობაში იყო. დღეს შესაძლებლობებიც მეტია. სამომავ-

ლოდ ახალგაზრდებთან ერთად არაერთ პროექტს განვახორციელებთ.

– ბატონო ლაშა, თერჯოლის შესახებ ყოველთვის დიდი სიყვარულით საუბრობთ. აქ დაბადებულ-გაზრდილი ბრძანდებით და რა გზა გაიარეთ მერობამდე?

– თერჯოლაში დავიბადე და გავიზარდე. დავამთავრე თერჯოლის მე-2 საშუალო სკოლა. მამა – ბორის გოგიაშვილი, მშენებელი კაცია; დედა, ნანული ჩაფიჩაძე კი, პედაგოგი. სამი ძმანი ვართ, მე, სოსო და გიორგი. ძალიან ლაღი ბავშვობა გვქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში საკმაოდ რთული პერიოდი იყო – უშუქობა, უგაზობა, სიცივე არ გვაშინებდა. დედა საოცრად მღერის და ჩვენც, სამივე ძმა ვუკრავდით სხვადასხვა საკრავზე – დასარტყამ ინსტრუმენტზე, გიტარაზე, ფორტეპიანოზე, საყვირზე, ვმღეროდით და ასე, მხიარულად ვატარებდით დროს. ძმების მიმართ, ბავშვობაში, გამძაფრებული სიყვარული მქონდა. ვამაყობ, რომ ასეთი კარგი და პატიოსანი ძმები მყავს. ჩვენს აღზრდაში, მშობლებთან ერთად, დიდი წვლილი შეიტანეს მამიდებმა: ლამარა განათლების განყოფილების გამგე და პედაგოგი იყო, ცისანა კი – თერჯოლაში „წითელი ჯვრის“ თავმჯდომარე. მიხარია, რომ თერჯოლაში ჩემს მშობლებსაც კარგად იცნობენ და გამზრდელ მამიდებსაც. სამივე ძმამ თერჯოლის სამუსიკო სკოლაში მივიღეთ მუსიკალური განათლება. ორკესტრ „მნათობის“ წევრები ვიყავით. შემდეგ იყო სხვადასხვა ანსამბლი, ბოლოს „ლაშარში“ ვმღეროდი. სხვა მხრივ, ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი. დამალობანას, ომობანას, ფეხბურთსა და კალათბურთს ვთამაშობდი. ველოსიპედი ძალიან მიყვარდა და დღესაც მყავს. სკოლაში, მე-9 კლასამდე ფრიადოსანი ვიყავი. უფრო ჰუმანიტარული საგნები მიყვარდა, განსაკუთრებით კი, ისტორია და ქართული. დამამთავრებელ კლასებში სხვა ნიშნებიც გამომერია. ამ ასაკში ასე ბევრის ცხოვრებაში ხდება. მიუხედავად ამისა, რთული მოზარდი არ ვიყავი. თავს არ ვიქებ, მაგრამ პრობლემებს არ ვქმნიდი. მაქსიმუმ, ცოტას თუ დავაგვიანებდი სახლში მოსვლას. მუსიკა იმდენად ჭარბად იყო ჩემს ცხოვრებაში, რომ ხელოვნებისკენ წავედი. ჩავაბარე და მე-9 კლასიდან, სკოლის პარალელურად, ექსტერნად თბილისში, კონსერვატორიის ნიჭიერთა ათწლედშიც ვსწავლობდი. მოგვიანებით, კონსერვატორიაში ფასიანზე მოვხვდი და უსახსრობის გამო სწავლა ვერ გავაგრძელე. შემდეგ თბილისის კულტურის უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, რომელიც მალე თეატრალურმა უნივერსიტეტმა შეიერთა და საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ თეატრალურის დიპლომი მაქვს. შეიძლება ითქვას, რომ „ლაშარი“ ჩემი პირველი სამსახურია. პირველი ხელფასი მაშინ მქონდა, მომღერლები რომ არტიმედში გააერთიანეს. შემდეგ ბევრი საფეხური გავიარე, კერძო კომპანიებშიც ვმუშაობდი ხელმძღვანელ თანამდებობებზე, მაგალითად, ღონისძიებების მენეჯერად, დისტრიბუციაშიც მიმუშავია, შემდეგ კი, კულტურის სამინისტროს, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ვიყავი სამეურნეო დარგის მთავარი მენეჯერი. ამ პოზიციაზე ყოფნისას შესყიდვების საკითხმა ისე დამაინტერესა, ამ მიმართულებით განვითარება დავიწყე, ტრენინგებიც გავიარე და არაერთი სერტიფიკატიც ავიღე.

– ანუ, საბოლოოდ პროფესიის შეცვლა მაინც მოგიწიათ. ამის მიზეზი ის ხომ არ იყო, რომ ხელოვნებას საქართველოში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა?

– სამწუხაროდ, საქართველოში სიმღერა არ არის ისეთი პროფესია, რომლითაც ბოლომდე იცხოვრებ. ამ ფონზე, გასაკვირი არ იყო, რომ ვიფიქრე, მეორე პროფესიაც მქონოდა. მიხარია, რომ კულტურასა და ხელოვნებას უფროდაუფრო დიდი ყურადღება ექცევა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმღერია და ვიცი, რომ ჩვენი სიმღერა, ცეკვა, ფოლკლორი ყველას აღაფრთოვანებს. შეიძლება ძალიან განათლებული იყო რომელიმე დარგში და ისე ვერ წარმოაჩინო შენი ქვეყანა საზღვარგარეთ, როგორც მომღერალმა. მახსოვს, როგორი განცდა იყო, ჩოხაში გამოწყობილები, ქართულ სიმღერას რომ დავიწყებდით. ყველაზე კარგად კი, პრაღაში, ერთ-ერთ დიდ ეკლესიაში ჩატარებული კონცერტი მახსენდება, რომელსაც 500-600 კაცი ესწრებოდა. ეს ნამდვილი მისტიკა იყო. კულტურის ცენტის შემდეგ, 5 წელი მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ადმინისტრაციაში ვმუშაობდი. პოლიტიკურად ჩემი გააქტიურება ჩემს მეგობარ, მამუკა მდინარაძეს უკავშირდება. მასთან ყოველდღიური ურთიერთობა მქონდა და ხშირად განვიხილავდით რეგიონის გამოწვევებს. თერჯოლიდან სკოლის დამთავრების შემდეგ კი წამოვედი, მაგრამ კავშირი არასდროს გამიწყვეტია. როცა შემომთავაზეს თერჯოლაში მემუშავა, გადავწყვიტე გამომეყენებინა შანსი და ჩემი მშობლიური მხარისთვის, ჩემი თერჯოლელებისთვის რაიმე კარგი გამეკეთებინა. და დავდექი იმ გუნდის გვერდით, რომელიც ქვეყანაში უალტერნატივო პოლიტიკური ძალაა. დღეს ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხი მაღალია, გამოხატვის თავისუფლებაა და ადამიანის უფლებები დაცულია. „ქართული ოცნების“ კურსი და მისი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა ჩემთვის მისაღებია.

– და ამ გუნდთან ერთად, მშობლიური თერჯოლისთვის რას გააკეთებთ, ამჯერად რას პირდებით თერჯოლელებს?

– კარგად ვიცით, ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობა ბევრი გამოწვევის წინაშეა, თუმცა მჯერა ამ გამოწვევებს ერთად გავართმევთ თავს. მე და ჩემმა გუნდმა ზუსტად ვიცით, რა ესაჭიროება თერჯოლელებს. ვპირდები, რომ ყველა დაწყებული პროექტი ხარისხიანად დასრულდება. ძალიან დიდი გეგმები გვაქვს ინფრასტრუქტურის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის მიმართულებით. თერჯოლელებს ვპირდები, რომ ჩვენს შორის ბარიერი ისევ არ იარსებებს და ნებისმიერ პროექტსა თუ გეგმას, მათთან ერთად, მათი სურვილისამებრ დავსახავთ. 2 ოქტომბერს ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნებია. ჩვენი მუნიციპალიტეტისა და თითოეული ოჯახისთვის მთავარი გამოწვევა პირობების გაუმჯობესებაა. დარწმუნებული ვარ, სწორ არჩევანს გავაკეთებთ და იმ გადაწყვეტილებას მივიღებთ, რომელიც 2012 წლიდან ყოველ არჩევნებზე კეთდებოდა.

სამი შვილის მამის სწორი გადაწყვეტილება

ლაშა გოგიაშვილის მეუღლე სოფიო ცინცაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტია. წლების წინ საქართველოს პარლამენტში მუშაობდა. სწორედ იქ, საკანონმდებლო ორგანოში დაგეგმილ ერთ-ერთ კულტურულ ღონისძიებაზე გადაიკვეთა მათი გზები. 2 წლის შემდეგ, დაქორწინება რომ გადაწყვიტეს, ქალბატონი სოფიო პირველად ჩავიდა მეუღლესთან ერთად თერჯოლაში. მაშინ ალბათ ვერც წარმოიდგენდა, რომ წლების შემდეგ, მისი რჩეული ამ მუნიციპალიტეტის მერი გახდებოდა და ისიც, მასთან და სამ შვილთან ერთად, თერჯოლაში იცხოვრებდა.

უფროსი ქალიშვილი, მარიამი, სასწავლებლად თერჯოლაში გადავიდა. იმ სკოლაში, რომელიც თავის დროზე მამამ დაამთავრა. მარიამი კარგი მოსწავლეა. ძალიან უყვარს ხატვა და მამისგან სიმღერის ნიჭიც გამოჰყვა. ერთი სიამოვნებაა, როცა მამა-შვილები ქართულ სიმღერებს ერთად შემოსძახებენ. რაც მერი გავხდი, სიმღერისთვის ნაკლებად ვიცლიო, გამოგვიტყდა და ისიც გაგვიმხილა, რომ ზოგჯერ, მარტო დარჩენილი, საქმის კეთების დროს ღიღინებს.

მამის სკოლაში შევიდა შუათანა გიორგიც. გიგი ძალიან კომუნიკაბელურია. ყველას ეკონტაქტება და ემეგობრება. თერჯოლაში ნებისმიერი სქესისა და თაობის ადამიანისგან მოისმენთ ფრაზას: „გიგი ჩემი ძმაკაცია!“ გიგი „შვიდკაცას“ სტუდიაში დადიოდა, მღერის და ცეკვავს. უყვარს მანქანები და თოფებითაც ხშირად თამაშობს. ოჯახის ყველაზე ცელქი წევრი კი, 3 წლის ნიკუშაა.

როცა გაიგეს, რომ საარჩევნო მარათონში ისევ ჩაერთო, არ გაკვირვებიათ. აღარც მშობლებმა ინერვიულეს, რადგან დარწმუნდნენ, რომ ამ საპასუხისმგებლო საქმეს თავს ღირსეულად და წარმატებით ართმევს. კანდიდატის მთავარი მოტივატორი კი, ისევ მარიამია, რომელიც მეუღლის შემდეგ, მისი ყველაზე აქტიური მხარდამჭერი და გულშემატკივარია. ოჯახის წევრების ეს განწყობა პასუხისმგებლობის გრძნობას უმძაფრებს.

თავისუფალ დროს როგორც კი გამონახავს, გული სახლისკენ მიუწევს. ჩემი განტვირთვის საშუალება ოჯახის წევრებთან ყოფნაა, ამბობს. თუმცა, იმასაც გვიმხელს, რომ განტვირთვის კიდევ ერთი საშუალება აქვს – ოჯახთან ერთად თერჯოლის ულამაზეს ადგილებში სეირნობა უყვარს. ასეთ დროს სიამაყით ივსება და ხვდება, რომ თავის დროზე, როცა პოლიტიკურ თანამდებობას დათანხმდა, სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან სწორედ ამის შემდეგ მიეცა მეტი შანსი, მშობლიურ თერჯოლას სიკეთე მოუტანოს.

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, თერჯოლის მუნიციპალიტეტზე** გამოყოფილია 46 707 000 ლარი, დაფინანსდა 90 561 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (1 555 389,3 ლარით 120 011 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (3 873 148 ლარით 52 536 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (30 017 501 ლარით 23 330 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (6 391 591 ლარით 6 329 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (2 138 310 ლარით 3 575 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 674 646 ლარით 2 896 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. **2017-2021 წლებში, პროგრამით, თერჯოლის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 4 337 ბენეფიციარი (812 635 ლარი).** 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **თერჯოლის მუნიციპალიტეტში** 87%-დან 100 %-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **თერჯოლაში,** სტაციონარული მკურნალობით 113-მა (314 672 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1146 პაციენტმა (124 584 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია 5 672 ორსული (310 067 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 1 645.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული**. თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 963 პირი, დაიხარჯა – 205 822 ლარი.**

2012 წლის შემდეგ, **თერჯოლის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **თერჯოლაში,** 2013-2021 წლებში, სულ 434 შემთხვევა 931 806 ლარით დაფინანსდა.

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **თერჯოლის მუნიციპალიტეტს ემსახურება 21 სოფლის ექიმი და 23 მედდა.**

2014-2020 წლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა/მიმდინარეობს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ამბულატორიების სრული/ნაწილობრივი რეაბილიტაცია სოფლებში – ახალთერჯოლა (23 000 ლ), ჩხარი (14 235 ლ), ბარდუბანი (19 056 ლ), ზედა სიმონეთი (31 127 ლ), სიქთარვა (39 926 ლ), აშენდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის შენობა (233 000 ლ). **დაგეგმილია** ამბულატორიების მშენებლობა სოფლებში – ალისუბანი და კვახჭირი, ხოლო რეაბილიტაცია სოფლებში: თუზი, გოგნი, ძევრი, ღვანკითი, ქვემო სიმონეთი, ნახშირღელე, ჭოგნარი, გოდოგანი, ეწერი, სიქთარვა;.

იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სხვადასხვა რეგიონში არსებული შენობის რეაბილიტაცია, 335 ბინა, (ვანი, ზესტაფონი, მარნეული, ქ. ქუთაისი, ქარელი, წყალტუბო, თერჯოლა) – ჯამურად 11 940 101 ლარი.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 101.0 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 78,2 ათასი ლ). თერჯოლის ბიუჯეტიდან, 2012 წლიდან დღემდე განხორციელდა/ხორციელდება ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამა.

მუნიციპალიტეტი ჯანდაცვის სფეროში ახორციელებს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის თანადაფინანსების ერთჯერად პროგრამას, რომლის ბიუჯეტიც 2021 წელს, 2014 წელთან შედარებით 40 000 ლარიდან (დაფინანსდა 108 ბენეფიციარი) 215 900 ლარამდე (დაფინანსდა 497 ბენეფიციარი) გაიზარდა. 2022-2024 წლებისთვის პროგრამის ყოველწლიური ბიუჯეტი 275 000 ლარამდე გაიზრდება, დაფინანსდება 762 ბენეფიციარი.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;

სოციალური დაცვა

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **თერჯოლის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (01.08.2020 წ. მდგომ.) 8061 პირი. 2012 წლის შემდეგ 1,8-ჯერ, 10 379 561-დან 22 047 720 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში (01.04.2021 წ. მონაცემებით), სულ 142 196 746 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **თერჯოლაში,** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.08.2020 წ. მდგომ) 147 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4-ჯერ – 179 452-დან 725 903 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 4 999 143 ლარი გაიცა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 527 ოჯახია (01.04, 2021 წ.). 2020 წელს 1088 ათასი ლარი შეადგინა საარსებო შემწეობებზე გაწეულმა ხარჯმა. 2013-2021 წლებში საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 10 279 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 2 482 ათასი ლარი, შშმ პირებზე – 1156 ათასი ლარი, ბავშვებზე – 3 481 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **თერჯოლაში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 2074 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,4-ჯერ – 629 242 დან 3 818 244 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 25 849 722 ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში 347 დევნილია (01.04. 2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 118 272 ლარიდან 198 000 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში (01.04.2021 წ. მდგომ.) სულ დაიხარჯა 1 588 683 ლარი.

დევნილებზე ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **თერჯოლაში დაკმაყოფილდა 58 ოჯახი,** მათ შორის: **თერჯოლაში ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში ბინა გადაეცა 44 ოჯახს**, პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 7 დევნილ ოჯახს შეუსყიდა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 57 ოჯახს დაუკანონდა. ქვეყნის მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **თერჯოლაში,** დაფინანსებულია 158 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 567 900 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 265 500 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, **თერჯოლის მუნიციპალიტეტზე** – 1 552 865 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ) –** 2020 წელს, თერჯოლაში, ჩართული იყო 547 ოჯახი, 2021 წელს (ივლისის მდგომ.) – 596. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი -თერჯოლაში, პროგრამაში, 2020 წელს ჩაერთო 125 ოჯახი, 2021 წელს – 134. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით) – თერჯოლაში, 2020 წელს ჩართული იყო 538 პირი, 2021 წელს კი – 553 პირი.

ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300 ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში – 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

მუნიციპალიტეტი, სოციალური დაცვის სფეროში, ახორციელებს 13 პროგრამას, მათ შორის: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებასა და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარებისა და ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამები, პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარების პროგრამა, ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა, სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის პროგრამა, ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დავადებულ ბავშვთა ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა, 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის პროგრამა და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება შრომის უსაფრთხოებისა და დასაქმების ეფექტიანი პოლიტიკა;
- შეიქმნება/დაიხვეწება და განვითარდება საქართველოში შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა; გაჩნდება და დაიხვეწება შრომითი მიგრანტების (ემიგრანტები/იმიგრანტები) უფლებების დაცვის გამართული და ქმედითი მექანიზმები;
- გაგრძელდება ცირკულარული შრომითი მიგრაციის სფეროში გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების ხელშეწყობა.
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

განათლება

განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.



თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას
საჯარო სკოლა

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბილიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

სკოლამდელი აღზრდა და განათლება

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.

თერჯოლაში ფუნქციონირებს 26 მუნიციპალური საბავშვო ბაღი (3 – ქალაქად, 23 – სოფლად).

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა თერჯოლაში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება. 2020 წელს, განათლების მიმართულებით, მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 3 მლნ 519,3 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის 2 მლნ 169 ათასი ლარი – სკოლამდელი განათლების მიმართულებით. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 1 მლნ 403,4 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში მუნიციპალიტეტში რეაბილიტაცია ჩაუტარდა არსებულ საბავშვო ბაღებს და აშენდა ახალი. მათ შორის: **2015 წელს** ახალი ბაგა-ბაღები აშენდა სოფლებში: ახალთერჯოლა, თუზა და ზედა ალისუბანი, ნაგარევი, ზედა საზანო (26 მაისი), რაზეც, ჯამში, 836,2 ათასი ლარი დაიხარჯა. **2016 წელს** დასრულდა 5 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვა. **2017 წელს,** მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაციას 188,2 ათასი ლარი მოხმარდა – რეაბილიტაცია ჩაუტარდა: ქ. თერჯოლის №1 (26,8 ათასი ლარი), ჩხარის (14,9 ათასი ლარი), ნახშირღელეს (7,2 ათასი ლარი), ღვანკითის (9,2 ათასი ლარი), ბარდისუბნის №2 (27,7 ათასი ლარი) და ნაგარევის (13,3 ათასი ლარი), ქ. თერჯოლის №2 (18,1 ათასი ლარი), ქ. თერჯოლის №3 (32,9 ათასი ლარი), საზანოს (13,3 ათასი ლარი), ქვემო სიმონეთის (9,4 ათასი ლარი), ზედა სიმონეთის (7,5 ათასი ლარი), ძევრის (4, 1 ათასი ლარი), ეწერის (8,4 ათასი ლარი), ბარდუბნის №1) საბავშვო ბაგა-ბაღებს. **2018 წელს** დასრულდა სოფელ გოგნის საბავშვო ბაღის მშენებლობა (244,1 ათასი ლარი). განხორციელდა 26-ვე საბავშვო ბაგა-ბაღის კვების ბლოკების, სურსათის საწყობების რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა. გადამზადდნენ აღმზრდელ-პედაგოგები და მუსიკის მასწავლებლები. **2019 წელს** აშენდა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, 1 საბავშვო ბაღი, აღიჭურვა

ინვენტარით, ასევე ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა რამდენიმე ბაღს. ყველა ბაგა-ბაღის სააღზრდელო ჯგუფი უზრუნველყოფილია ცხელი წყლით, 4 საბავშვო ბაღში დამონტაჟდა ელექტროქურები. ნაწილობრივ კეთილმოეწყო საბავშვო ბაღების ეზოები.

2020 წელს, პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობდა ონლაინ, ბავშვებისთვის გაცემული იყო კვების პროდუქტების პაკეტები (სულ 191,2 ათასი ლარი). განხორციელდა კვახჭირის, ჩხარის, ჭოგნარის საბავშვო ბაგა-ბაღების სველი წერტილების რეაბილიტაცია. 26-ვე საბავშვო ბაგა-ბაღში რეაბილიტაცია ჩაუტარდა სველ წერტილებს, სამზარეულოებსა და პროდუქტის სასაწყობო საცავებს. **ამჟამად შენდება** ახალი საბავშვო ბაღი სოფელ ზედა საზანოში (988,3 ათასი ლარი), რომელიც 2022 წლისთვის დასრულდება.

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში **აღსაზრდელთა რაოდენობა** 1050-დან 1265-მდე გაიზარდა. 2021 სასწავლო-სააღმზრდელო წლისთვის მუნიციპალიტეტის 26 საბავშვო ბაგა-ბაღში დასაქმებულია 117 **აღმზრდელ-პედაგოგი** და 60-მდე **აღმზრდელი.** 2012 წელთან შედარებით, 2021 წელს, **აღმზრდელ-პედაგოგთა ხელფასი** 150-დან 470 ლარამდე, **აღმზრდელთა ხელფასი** კი – 120-დან 350 ლარამდე გაიზარდა. საბავშვო ბაღებში **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე 30-დან 60 ლარამდე გაიზარდა, რითაც სრულფასოვანი გახდა ბავშვთა **კვების რაციონი.**

2020-2021 სასწავლო წლისთვის **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია 28 სააღმზრდელო ჯგუფში, რომლებშიც, ჯამში, 340 ბავშვია. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებს 17 ექიმი/ექთანი და 19 ფსიქოლოგი ემსახურება.

ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 24 საჯარო (ქალაქში – 2, სოფლად – 22) სკოლა. საჯარო სკოლებში 3596 მოსწავლე და 569 მასწავლებელია, 2021 წლის აპრილისთვის, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ იდენტიფიცირებულია 58 სსსმ მოსწავლე. საჯარო სკოლებს 24 სპეციალური მასწავლებელი ემსახურება. ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 5 საჯარო სკოლაში.

2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტრომ, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამა, მათ შორის: 2013-2019 წლებში, **პროგრამაში, „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“** 200 მოსწავლე მონაწილეობდა, მათ შორის, 2017-2019 წლებში – 167. **ეროვნულ სასწავლო ოლპიადებში** 3415 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. **წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამით,** 2013-2019 წლებში, 253 ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი გამოვლინდა, მათ შორის, 2018-2019 წლებში 73 ოქროსა და 13 ვერცხლის მედალოსანი, ხოლო 2019-2020 ს/წელს – 35 ოქროსა და 12 ვერცხლის მედალოსანი. 2017-2019 წლებში, საჯარო სკოლებში, 1038 **სასკოლო ჟურნალი** და 83587 **სახელმძღვანელო** უფასოდ დარიგდა, ხოლო 2019-2020 წლებში, გაიცა 350 სასკოლო ჟურნალი და 93580 სახელმძღვანელო. **ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამით,** 2019 წელს, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით აღჭურვის** – 6, 2018-2019 წლებში კი, **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით უზრუნველყოფის** 48 პროექტი განხორციელდა, 2019 წელს, **ლოკალური უსადენო ქსელით** 2 სკოლა აღიჭურვა. 2020-2021 ს/წელს, **საჯარო სკოლის ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამით** 24 საჯარო სკოლის (111 მიმართულება) 2320 მოსწავლე სარგებლობს. 2017-2019 წლებში, **სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამით** სულ 61 სასკოლო პროექტი დაფინანსდა. 2019 წელს, **ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში,** თერჯოლის 2 საჯარო სკოლას 43 ლეპტოპი გადაეცა. 2021 წლისთვის ახალი სკოლის მოდელში ჩართულია 6 საჯარო სკოლა. 2013-2019 ს/წელს **პირველკლასელებს** 1913 კომპიუტერი გადაეცა (2017-2019 წ.წ. – 935, 2019-2020 ს/წ – 292), **კლასის დამრიგებლებს** -176 (2017-2019 წ.წ. – 72). ასევე **წარჩინებულ მოსწავლეთა წასახალისებლად**, 2013-2019 წლებში, პორტაბელური კომპიუტერებით დასაჩუქრდა 226 მოსწავლე, 126 მოსწავლე – 2017-2019 წლებში, 2020 წელს 69. 2015-2019 წლებში, საჯარო სკოლების შესაბამისი **მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით** აღჭურვის 38 პროექტი განხორციელდა. **ოპერირებისა და მოვლა პატრონობის პროგრამა** („ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია“) ხორციელდება მუნიციპალიტეტის 1 საჯარო სკოლაში. ინფრასტრუქტურულად **ადაპტირებულია** 16 საჯარო სკოლა, **ცენტრალური გათბობა** მოწყობილია 7 საჯარო სკოლაში.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში, განხორციელდა ნაწილობრივი რეაბილიტაციის 31 პროექტი. მათ შორის: 2013 წელს – ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 8 საჯარო სკოლას, რაზეც სულ 641,1 ათასი ლარი დაიხარჯა. **2014 წელს –** ასევე ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 საჯარო სკოლას, ქ. თერჯოლის №1 საჯარო სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახი (სულ 255,8 ათასი ლარი). **2015 წელს –** 10 საჯარო სკოლის ნაწილობრივ რეაბილიტაციასა და 2 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახების მოწყობაზე სულ 1 მილიონ 83,2 ათასი ლარი დაიხარჯა. **2016 წელს** – 2 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახების მოწყობაზე სულ 9,7 ათასი ლარი დაიხარჯა. **2017 წელს** – დასრულდა სოფ. ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (62, 3 ათასი ლარი). განხორციელდა სოფ. სიქთარვასა (24, 7 ათასი ლარი) და ჭოგნარის (83,7 ათასი ლარი) საჯარო სკოლების რეაბილიტაცია. ასევე, 67, 8 ათასი ლარით დაფინანსდა სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლის ალტერნატიული ფართობის რეაბილიტაცია. **2018 წელს** – დაფინანსდა სოფ. ბარდუბნის ნაწილობრივი რეაბილიტაციის, სოფ. რუფოთისა და ახალთერჯოლის საჯარო სკოლების სახურავის სარეაბილიტაციო სამუშოები (223,8 ათასი ლარი). ასევე, 350 ათასი ლარით დაფინანსდა სოფ. სიქთარვას საჯარო სკოლის ახალი შენობის მშენებლობის I ეტაპი.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით, 2019 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 15 პროექტის განხორციელებაზე, ცენტრალური ბიუჯეტიდან 539 ათასი ლარი დაიხარჯა. ასევე დაიწყო სოფ. სიქთარვას საჯარო სკოლის მშენებლობა (2 მლნ 416 ათასი ლარი), სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა – ქ. თერჯოლის №2 საჯარო სკოლას. განხორციელდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია: სოფ. გოგნის, ნაგარევის, ჩხარის, ვარდიგორის (II კორპუსი), თუზის (III კორპუსი – თავასა), თერჯოლის №1, ზედა სიმონეთის, რუფოთის, ზედა საზანოს (I კორპუსი), ღვანკითის, კვახჭირის, ქვედა სიმონეთის №1, ნახშირღელის, ჭოგნარისა და ეწრის საჯარო სკოლებში, რაზეც, ჯამში, 537,2 ათასი ლარი დაიხარჯა.

საქართველოს მთავრობასა და „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას“ (MCC) შორის არსებული თანამშრომლობის ფარგლებში, ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაინერგა მოვლა-პატრონობის პროგრამა, რომლის მიზანიც საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობა-მოწყობილობებისა და აღჭურვილობა-აპარატურის ექსპლუატაციის ვადის გახანგძლივება, მიმდინარე საოპერაციო ხარჯების შემცირება და მოსარგებლეთათვის უკეთესი გარემოს უზრუნველყოფაა. პროგრამაში ჩართულია ქ. თერჯოლის №2 საჯარო სკოლა. **2019 წელს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში,** ქ. თერჯოლის №2 საჯარო სკოლის ტერიტორიის კეთილმოწყობაზე 120,2 ათასი ლარი დაიხარჯა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ნაწილობრივ რეაბილიტაციაზე – 21, 9 ათასი ლარი. 2019-2020 წლებში, სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროექტის ფარგლებში, თერჯოლის №2 საჯარო სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

2020 წელს – აშენდა სოფელ სიქთარვას (120 მოსწავლეზე) საჯარო სკოლა, რაზეც 2 მლნ 700 ათასი ლარი დაიხარჯა. **ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით,** მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, სველი წერტილების რეაბილიტაციის 14 პროექტის განხორციელებაზე, ჯამში, 691,2 ათასი ლარი დაიხარჯა. სველი წერტილები მოეწყო: ქ. თერჯოლის №1, ალისუბნის თემის №1, ზედა ალისუბნის თემის №2, ახალთერჯოლის, გოგნის, გოდოგანის, ეწერის, საზანოს, თუზის (I და III კორპუსები), კვახჭირის, ნაგარევის, ქვედა სიმონეთის №1, ღვანკითის საჯარო სკოლებში.

2020-2021 წლებში – ჩხარის №2 საჯარო სკოლის მშენებლობაზე 1 მლნ 92 ათასი ლარი დაიხარჯა, ზედა საზანოს საჯარო სკოლის II კორპუსის მშენებლობას კი 1 მლნ 120 ათასი ლარი მოხმარდა. 17 სკოლაში მოეწყო სველი წერტილები, რისთვისაც 724 ათასი ლარი დაიხარჯა. **მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (მგპფ) დაფინანსებით, მიმდინარეობს** სოფ. ქვედა სიმონეთის № 2 და რუფოთის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია, რომელიც წლის ბოლომდე დასრულდება და პროექტებზე ჯამურად 3 მლნ ლარი დაიხარჯება. ასევე, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებულია და სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები მიმდინარეობს სოფელ ეწრის საჯარო სკოლაში სახურავისა და იატაკების რეაბილიტაციასა და წყალმომარაგების მოწყობაზე (52,1 ათასი ლარი).

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ – ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება.
- დაგეგმილია აღმზრდელ-პედაგოგთა 25% გადამზადება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის შესაბამისად;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: 2024 წლამდე დაგეგმილია: თერჯოლის №1, №2 საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია (ჯამში, 800 ათასი ლარი); სოფლების: ნახშირღელის, ჩხარის, ღვანკითის, ბარდუბნის, ქვ. სიმონეთის, ძევრის, ჭოგნარის, კვახჭირის, ქვ. ალისუბნის, ზედა სიმონეთის, რუფოთის, ეწერის, გოდოგანის, სიქთარვას საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (980 ათასი ლარი); აშენდება 4 ახალი საბავშვო ბაღი, მათგან 1 ბაგა-ბაღი – ქალაქ თერჯოლაში (1 მლნ. 500 ათას ლარს); 3 ბაგა – ბაღი სოფლებში: სიქთარვა, ახალთერჯოლა და კვახჭირი (სარბევი), (ჯამში, 2 მლნ ლარი);
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის: რეაბილიტაცია ჩაუტარდება 17 სკოლას (530 ათასი ლარი); დაგეგმილია ქ. თერჯოლის №1 საჯარო სკოლის II კორპუსისა და სოფელ ძევრის საჯარო სკოლის მშენებლობა. ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამა განხორციელდება 1 საჯარო სკოლაში;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება თერჯოლაში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი; ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები: მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმი, პეტრე და შალვა ამირანაშვილების 4 ბიბლიოთეკა – ქალაქ თერჯოლაში 1 საჯარო და 1 საბავშვო ბიბლიოთეკა, ასევე სოფელ სიქთარვისა და სოფელ ჭოგნარის ბიბლიოთეკები, ა(ა)იპ სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრი (სამუსიკო საგანმანათლებლო სკოლა და სამხატვრო სკოლა), ჩხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ა(ა)იპ სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრის ფილიალი – თერჯოლის კულტურის სახლი (სახალხო თეატრი, ცეკვის ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმერეთი“, ფოლკლორული სიმღერის ანსამბლი „იმერეთი“, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „მასპინძელო“, ქალთა ანსამბლი „იამე“).

2013 წელთან შედარებით გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს კულტურის მიმართულებით მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 815,4 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 293,7 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში: მუნიციპალიტეტში იმართება ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. ლიტერატურული შეხვედრა-საღამოები და საიუბილეო ღონისძიებები, ტარდება თემატური გაკვეთილები, ფესტივალები, კონცერტები და კონკურსები, ეწყობა გამოფენები. მათ შორის: **2019 წელს** ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო საგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკურ საერთაშორისო ფესტივალში – **„მომავლის ვარსკვლავები-2019“,** სადაც **ლაურეატის წოდება და გალაკონცერტში მონაწილეობის უფლება** მოიპოვეს, კონკურსში – **„ვალერიან შიუკაშვილი-მუსიკალური აკადემია – 2019“-ში** წარმატებული მონაწილეობისთვის კი გადაეცათ **სიგელი და საპატიო დიპლომი.**

განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები რაზეც 200 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა, მათ შორის: ქ. თერჯოლაში კულტურის სახლის რეაბილიტაცია; დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმის ნაწილობრივი რეაბილიტაცია; საჯარო ბიბლიოთეკის აღჭურვა ტექნიკით; საჯარო ბიბლიოთეკის სარემონტო სამუშაოები; სამხატვრო სკოლისა და საგამოფენო დარბაზის რეაბილიტაცია, საკრებულოს შენობაში არსებული კულტურის სახლის კაპიტალური რემონტი, ჩხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის გამოყოფილი ფართის რემონტი, დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმის სველი წერტილების კეთილმოწყობა; ქ. თერჯოლაში კულტურის სახლის დარბაზის რეაბილიტაცია; სამუსიკო სკოლის ორი სველი წერტილის რემონტი.

დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმი

2020 წელს განხორციელდა თერჯოლის კულტურის სახლის ფილიალის, სოფელ ზედა სიმონეთის კლუბის სცენის რეაბილიტაცია.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი.

2021 წლის მონაცემებით, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრში 19 მწვრთნელი (მათგან 5 – უმაღლესი კატეგორიის) და 294 მოსწავლეა გაერთიანებული.

2013 წელთან შედარებით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს სპორტის მიმართულებით მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 448,2 ათასი ლარი შეადგინა.

2020 წელს, პანდემიიდან გამომდინარე, ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის ხარჯებმა 15 ათას 840 ლარი შეადგინა (ჭადრაკი – 878 ლარი, ბერძნულ/რომაული ჭიდაობა – 407 ლარი, ძიუდო – 1180 ლარი, თავისუფალი ჭიდაობა – 645 ლარი, ქართული ჭიდაობა – 1171 ლარი, უშუ – 396 ლარი, რაგბი – 4601 ლარი, ფეხბურთი – 4331 ლარი (დიდები), 450 ლარი – პატარები, ადგილობრივი ღონისძიება – შოთა და ლევან ქავთარაძის სახელობის ტურნირი – 1781 ლარი).

2021 წლის მარტის მდგომარეობით, სპორტსკოლის ხარჯმა 6356 ლარი შეადგინა (ფეხბურთი – 2120 ლარი, რაგბი – 2966 ლარი, ჭადრაკი – 1270 ლარი).

მუნიციპალიტეტში სპორტის პრიორიტეტული სახეობებია: ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, სამბო, ჭადრაკი, აკრობატიკა და კარატე.

აღსანიშნავია სპორტსმენთა შედეგები ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირებზე (2016 წელი): ბერძულ-რომაული ჭიდაობა (10 ტურნირი) – 3 ოქრო, 15 ვერცხლი, 22 ბრინჯაო; (2017 წელი) – 1 ვერცხლი, 3 ბრინჯაო; (2018 წელი) – 2 ოქრო, 1 ვერცხლი, 2 ბრინჯაო; ძიუდო (2016 წელი) – 3 ოქრო, 3 ვერცხლი, 6 ბრინჯაო; სამბო (8 შეჯიბრი) – 2 ოქრო, 4 ვერცხლი, 10 ბრინჯაო; (2017 წელი) – 1 ოქრო, (2018 წელი) – 1 ოქრო; ქართული ჭიდაობა (2016 წელი) – 3 ოქრო, 3 ვერცხლი, 3 ბრინჯაო; (2017 წელი) – 3 ოქრო, 4 ვერცხლი, 9 ბრინჯაო; (2018 წელი) – 3 ოქრო, 2 ვერცხლი, 8 ბრინჯაო; თავისუფალი ჭიდაობა (2016 წელი) – 1 ოქრო, 1 – ვერცხლი, 1 ბრინჯაო; აკრობატიკა (2016 წელი) – 8 ოქრო, 23 ვერცხლი, 9 ბრინჯაო; (2018 წელი) – 5 ოქრო, 4 ვერცხლი, 5 ბრინჯაო; (2018 წელი) – 9 ოქრო, 5 ვერცხლი, 1 ბრინჯაო.

2019 წელს: **ქართული ჭიდაობა** – 6 რესპუბლიკური ტურნირი: 3 ოქრო, 2 ვერცხლი, 8 ბრინჯაო; **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა** – 2 საერთაშორისო ტურნირში: 2 ოქრო, 1 ვერცხლი, 2 ბრინჯაო; 7 რესპუბლიკურ ტურნირში: 4 ოქრო, 7 ვერცხლი, 14 ბრინჯაო; **თავისუფალი ჭიდაობა –** 2 საერთაშორისო თურნირში: 1 ოქრო; 4 რესპუბლიკური ტურნირში: 1 ვერცხლი, 7 ბრინჯაო; **ძიუდო –** 1 საერთაშორისო ტურნირში: 2 ბრინჯაო; 5 რესპუბლიკურ ტურნირში: 1 ოქრო, 1 ვერცხლი, 15 ბრინჯაო; **სამბო –** 4 რესპუბლიკურ თურნირში: 7 ვერცხლი, 8 ბრინჯაო; **კარატე** – 4 საერთაშორისო ტურნირში: 5 ოქრო, 2 ვერცხლი, 2 ბრინჯაო; 1 რესპუბლიკურ ტურნირში: 3 ბრინჯაო; **აკრობატიკა** – 3 რესპუბლიკურ ტურნირში: 9 ოქრო, 5 ვერცხლი, 3 ბრინჯაო; **ჭადრაკი** – 3 რესპუბლიკურ ტურნირში: 1 ოქრო, 2 ვერცხლი; კიკბოქსინგი – 2 გასვლით ღონისძიებაზე: 2 ოქრო და სხვ.

2020 წელს სპორტული სკოლის აღსაზრდელთა მიღწევები კი ასე გადანაწილდა: ბერძნულ-რომაული ჭიდაობა – 4 პირველი და 5 მესამე ადგილი, თავისუფალი ჭიდაობა – 1 პირველი და 1 მეორე ადგილი, ძიუდო – 2 მეორე ადგილი, ქართული ჭიდაობა – 1 მესამე ადგილი, უშუ – 2 მესამე ადგილი.

2021 წელს სპორტული სკოლის აღსაზრდელთა მიღწევები: სპორტული აკრობატიკა – რესპუბლიკური ტურნირი – 7 ოქრო.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახეობის შიდაჩემპიონატები ჩაატარეს, სამინისტრომ დააფინანსა ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობების მშენებლობა, ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება (მათ შორის, 2017 წელს, სპორტულ ღონისძიებებზე 4,9 ათასი, 2018 -ში კი 29,7 ათას ლარამდე დაიხარჯა).

თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფელ ზედა საზანოში, სკანდას თემში, თუზსა და რუფოთში მოეწყო ფეხბურთის მინიმოედნები.

2018-2020 წელს ევროპის სპორტის კვირეული და აღინიშნა საერთაშორისო დღე – **„სპორტი მშვიდობის და განვითარებისთვის“.**

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“.

ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი მუშაობს 4 ქვეპროგრამით, რომელშიც გაერთიანებულია 25 კლუბი და წრე საავტორო პროგრამებით. მასში გაერთიანებულია 974 მოსწავლე.

ცენტრი სხვადასხვა სახის პროექტსა და ღონისძიებას (კონკურსები, დებატები, ინტელექტუალური თამაშები, შეხვედრები, კონფერენციები, გამოფენები, კონცერტები, ფესტივალები, სასწავლო ვიზიტები, კვლევები და სხვ.) ახორციელებს. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ბავშვთა ინიციატივების, სამოქალაქო ჩართულობის, მოტივაციის გაზრდას, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას, თავისუფალი დროის მიზნობრივად გამოყენებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და პროფესიის არჩევას.

2020 წელს ა(ა)იპ „თერჯოლის მოსწავლე ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრის“ ფაქტიური ხარჯი 204 ათასი ლარია.

სპორტის ხელშეწყობის, პოპულარიზაციის, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და სპორტის ტრადიციის აღდგენის მიზნით, განხორციელდა მუნიციპალიტეტის პირველობები სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ნარდში ქალბატონებს შორის, ჭადრაკში) და შიდასასოფლო ტურნირები მინიფეხბურთში, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლებს შორის, სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ახალგაზრდული მიმართულებებით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა: „მოხალისეობის განვითარების პროგრამა“ (რეგიონის მასშტაბით 2-2 მონაწილე თითოეული მუნიციპალიტეტიდან); „საქართველოს თასი ლაშქრობაში“, იმერეთის რეგიონის პირველი ტურის შეჯიბრება საირმის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა; მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

2018-2020 წლებში, ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისა და ლიდერობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით, გაიმართა **ახალგაზრდული ბანაკი – „ალპინიადა 2018“** (სოფელ თავასის საჯარო სკოლის ეზო); **2019 წელს,** ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესაბამისად (DCFTA), ახალგაზრდებისთვის მოეწყო საინფორმაციო რესურს-მაგიდა, რომლის მთავარი მიზანიც სოფლად მცირე და საშუალო მეწარმეობის, ახალგაზრდებისა და, ზოგადად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებისთვის ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ასპექტებზე კომპეტენტური ინფორმაციის მიწოდება იყო. გაიმართა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული გმირების სახელობის ტურნირები მინიფეხბურთში, ჩატარდა **„ახალგაზრდული ფესტივალი – 2020 – CYNC სპორტი ბარიერების გარეშე“.** ტურნირები კალათბურთსა და ფრენბურთში, ნარდსა და შაშში, კროს-გარბენები.

ᲛᲐᲠᲗᲚᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

2017-2020 წლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტში, 2017-2020 წლებში, კრიმინოგენური მდგომარეობა საკმაოდ მშვიდი და სტაბილურია: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 16 შემთხვევა, რომელთაგან გახსნილია – 7, ანუ 44%, რაც გახსნის საშუალო მაჩვენებელია. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში იშვიათია, ყოველწლიურად 3-6 შემთხვევის ფარგლებშია, ხოლო მათი არსებითი ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება **„სისტემური განახლების“** კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა;** კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი,** რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.

ᲪᲮ. 1 ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ 2017-2020 ᲬᲬ.

მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით	2017 წ	2018 წ	2019 წ	2020 წ
განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები)	1	0	0	1
მათ შორის, გახსნილი	1	0	0	1
მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)	0	1	0	3
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	2
გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი)	0	1	0	2
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	0
ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი)	0	0	0	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	0
ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი)	3	1	3	0
მათ შორის, გახსნილი	3	0	0	0
სულ	4	3	3	6
მათ შორის გახსნილი	4	0	0	3

ᲪᲮ.2 ᲞᲠᲝᲑᲐᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ

პრობაციონერთა სტატისტიკა	2017 წ	2018 წ	2019 წ	2020 წ
მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა	66	50	68	73
არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა	0	0	0	0
დანაშაულის რეციდივის შემთხვევები	0	4	2	0
სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა	0	0	0	0
პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	0	0	0	0

ᲞᲠᲝᲑᲐᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

2017-2020 წ.წ. თერჯოლის მუნიციპალიტეტში პრობაციონერთა სტატისტიკა მოყვანილია ცხ.2 -ში.

მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა დასტაბილურდა და, წლების მიხედვით, მნიშვნელოვნად აღარ იზრდება. განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები მცირეა, 2017-20 წლებში აღირიცხა სულ 6 ასეთი შემთხვევა, ხოლო 2020 წელს ასეთი შემთხვევა საერთოდ არ ყოფილა;

სამომავლოდ პრობაციის სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტში პანდემიის გამოწვევის გათვალსწინებითა და უსაფრთხოების ზომების დაცვით, დაინერგება პრობაციონერთა სოციალური რეაბილიტაციის სპეციალური პროგრამები, ასევე ხელი აქტიურად შეეწყობა პრობაციონერთა ადგილზე, მუნიციპალიტეტში დასაქმებას.

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘ

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში, საზოგადოებრივ მომსახურეობათა ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი ხელმისაწვდომობისათვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საზოგადოებრივი ცენტრების ამოქმედება დასახელდა. **საზოგადოებრივი ცენტრი,** იუსტიციის სახლის მსგავსად, წარმოადგენს სათანადო ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეს, სადაც მოქალაქეს დასახლებიდან გაუსვლელად შეუძლია მისთვის კომფორტულ და ხელსაყრელ გარემოში მიიღოს 200-მდე სახის სახელმწიფო, ასევე კერძო მომსახურება; იმავდროულად, საზოგადოებრივი ცენტრი განახორციელებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უკვე მუნიციპალურ სერვისებსაც; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ტერიტორიული ორგანოების აღდგენის კვალობაზე საზოგადოებრივი ცენტრი წარმატებით შეასრულებს შესაბამისი ერთეულის ადმინისტრაციის, აგრეთვე მასთან არსებული სათემო საბჭოს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ოფისის ფუნქციას.

2018 წლის 10 სექტემბრიდან საქართველოს რეგიონებში მოქმედ საზოგადოებრივ ცენტრებს ზედა საზანოს საზოგადოებრივი ცენტრი შეემატა.

სამომავლოდ, დაგეგმილია, ეს წარმატებული პროექტი ეტაპობრივად გაფართოვდეს და მთელი მუნიციპალიტეტი მოიცვას.

განხორციელდა კულტურულ-ჰუმანიტარული პროექტი – **„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“,** რომელიც ოჯახური ძალადობის მიზეზების ძიებას, თაობათა შორის კონფლიქტებს („დედა და შვილი“), ძალადობის პრევენციას, ნაადრევ ქორწინებას, ბულინგისა და სხვა პრობლემების პრევენციას და აღნიშნულ საკითხებში ადვოკატირებასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას მიეძღვნა.

2020-2021 წლებში ამოქმედდა მუნიციპალური პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების წახალისებას (ფულადი ჯილდოთი) სხვადასხვა ახალგაზრდულ ინოვაციებსა და შემეცნებით წამოწყებებში.

2020-2021 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქის ცენტრში არსებულ სკვერს, რომელსაც მიენიჭა **ახალგაზრდობის სკვერის სტატუსი,** აქ სხვადასხვა აქტივობებისათვის შესაფერისი გარემოა შექმნილი.

სსიპ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, ა(ა)იპ „ხვალინდელი დღე“ ახორციელებს პროექტს **„სპელეოტურიზმის განვითარება ზემო იმერეთში“** (17,8 ათასი ლარი). პროექტის მიზანია ზემო იმერეთში, კერძოდ, თერჯოლისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში, სპელეოტურიზმის განვითარება და პოპულარიზაცია.

2025 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით თერჯოლის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- 2020-2024 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტებისა და პროგრამების შესაბამისად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების ხელშემწყობ და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებებს განახორციელებს;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად მუნიციპალიტეტი განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობასა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნას;
- განხორციელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიულ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ჩემო ძვირფასებო!

ჩემთვის დიდი პატივი და ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობაა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ჩემს მშობლიურ მხარეში, საყვარელი ქალაქის მერობის კანდიდატად დამასახელა. მაქვს შანსი, ჩემს თერჯოლასა და თერჯოლელებს მერის რანგში კვლავ ვემსახურო.

თქვენი ნდობა ასმაგად აძლიერებს ჩემს პასუხისმგებლობას თითოეული თერჯოლელისა და იმ დიდი გუნდის წინაშე, რომელსაც წარმოვადგენ.

ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, როგორც ქვეყანაში, ისე ჩვენს მუნიციპალიტეტში მართლაც ბევრი რამ გაკეთდა, მათ შორის ჯანდაცვისა და განათლების კუთხით, ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით.

თუმცა, ეს ჩვენი დიდი მიზნების მხოლოდ მცირედი ნაწილია. ერთად დგომითა და მუხლჩაუხრელი შრომით, არაერთ გამოწვევას დავძლევთ და დავეხმარებით ყველას, ვისაც ჩვენი მხარში დგომა სჭირდება.

თქვენი მხარდაჭერა, ნდობა მაძლევს სტიმულსა და ენერგიას, თქვენთან ერთად დავძლიო ყველა პრობლემა, გავუმკლავდე ყველა გამოწვევას, რათა ჩვენი თერჯოლა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიყვანოთ.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი გუნდი კიდევ ერთ, დამაჯერებელ გამარჯვებას მოიპოვებს და საქართველოს განვითარებას ერთად გავაგრძელებთ.

ერთად, თერჯოლის წარმატებისთვის! ერთად, საქართველოს წარმატებისთვის!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.